

რედაქცია

მოღწეის (აბას-აბატის) მედნაზე, შორღანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მედიკინის სტამბაში. ძალაქს ვარუშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисе. Въ редакцію газеты „Дროზდა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საქროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შემოკლებს გამოგზავნილ ხტატიებსა. დაუბეჭდელი ხტატი ავტორს არ დაუბრუნდება.

დროზდა

გამოდის კვირარაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

საქართველო

მეურნეობა და ვაჭრობა

შველადან ამ ჰაზრს გაიგონებთ, რომ ჩვენ, ქართველები, მეურნეობის, მხენელ-მთესველი ხალხი ვართო; თვით ბუნებას დაუნიშნავს ჩვენთვის სოფლის ოჯახობა და მემამულეობა.

მაჭრობა და აღებ-მიცემობა კი ქართველის საქმე არ არისო. ეს ხელობა სომხისა და ურისთვის მიუხდელია ღმერთსაო.

ეს ჰაზრი ისე გაგრძელებულია ჩვენში, რომ თითქმის ყველანი დარწმუნებულნი არიან იმის ჭეშმარიტებაში და ამის გამო ათასი ერთ ქართველსაც ვერ ნახავთ, მგონია, რომ ამ ცრუ ჭეშმარიტების წინააღმდეგობა და ეჭვობისათვის ხელის მოკიდება გაუბედნოს.

არავის გამოვედევით: ძველ დროიდგანვე ქართველის ისტორიული ცხოვრება ისე იყო წამართული, რომ ხრძლისა და თავის ტყე-მინდვრის მეტი არა ახსოვდარა. ის იყო მხედარი და მეოჯახე.

მაგრამ მას შემდეგ დროება შეიცვალა.

მხედრობაში ისე ხშირად აღარ ვარჯიშობს ქართველი, როგორც ადრე. მკლავი დაუშოკლდა. იმის მხნეობა თან-და-თან ძველებურ მოსაგონებელ აშბათ ხდება. დარჩა მხოლოდ მეურნეობა.

პეთილ-შობილური, კარგი საქმეა ეს მეურნეობა. მაგრამ ვინ არ იცის,

რომ მარტო წარმოება ქვეყანას ვერას უშველის: საქროა გასაღებაც და ამ მხრით კი ჩვენ ერთობ ესუსტობთ.

მშვენიერი, მოსაყვანი, ბლომად ჭირნახულის მომცემი ადგილები გვაქვს, ბევრი ტყე, წყალი და სხვა ყველაფერი, რაც მეურნეობის მიმდევარი ხალხისათვის საჭიროა. ხშირად ზოგიერთი რამ ნაწარმოები იმდენი მოგვყავს, რომ ბლომად გაყიდვა შეგვიძლიან, გასაღება რომ ვიცოდეთ.

მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ქართველს თითქო ვთაკილება, თითქო რცხენიან ეაჭრობა. იმერელ აზნაურსა და განსაკუთრებით თავადიშვილს როგორ გაუბედავ თქმას, რომ ეაჭრობა და აღებ-მიცემა დაიწყოს! „მამი ჩემი შვილს რაფა ეკადრება მაგ ხელობა! შრიები რაღას გვიკეთებენო?“ — გეტყვისთ. და როცა ერთი-ორი თუმანი დასჭირდება, მაშინ კი ამავე ურიას მიმართავს, დაეღრიჯება, თითქმის ფეხ-ქვეშ ჩაუვარდება და წელიწადში ნასესხებ თუმანზე თუმანს სარგებელს აძლევს!

თფილისში ბევრს სარდაფს ჰხედავთ, მართალია, რომელიღაც აწერია, რომ ეს ამა და ამ კახელი თავადიშვილის ღვინის სარდაფიაო. მაგრამ ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ამ სარდაფებში ათში ერთიც არ არის ჩვენებური თავადებისა: ყველა სომხებს აქვთ აღებული. ისინი ეაჭრობენ, ისინი იგებენ.

ჭეშმარიტებაა, რომ რაც უფრო მცირე არიან შუამავლები მწარმოებელსა და მომხმარებელს შუა,

ისა სჯობიან. რაც უფრო ცოტა საკუთრივ ეაჭრები, მით უფრო ბედნიერია ქვეყანა. მაჭარს ამ შემთხვევაში მე იმას ვეძახი, ვინც წარმოებაში არ ურევია, ვინც მწარმოებლისაგან იაფათ ყიდვით და მომხმარებელზე ძვირად გაყიდვით თვითონ სარგებლობს, მხოლოდ თვითონ ისტყლებს ჯიბესა.

რიგიანი, ნორმალური ეაჭრობა და აღებ-მიცემა ის არის, როდესაც სოფლის ანუ ქალაქის მწარმოებელი თვითონ პირ-და-პირ ჰყიდის თავის ნაწარმოებს მომხმარებელზე, როდესაც, ერთის სიტყვით, მომხმარებელსა და მწარმოებელის შუა არავითარი შუამავალი-ეაჭარი არ არის.

სანამ ამ დროს არ მოვესწრობით, სანამ ჩვენი სოფლის მეურნეობის მიმდევარი ხალხი თვითონვე პირ-და-პირ არ გაასაღებს თავის ნაწარმოებს, მანამ საქართველო სიღარიბისა და უფულობლისაგან თავს ვერ დაიხსნევს.

ს. მესხი

დღიური

თეატრის მოყვარეებისათვის ზოგიერთი ახალი ამბები შევიტყეთ: თამამშვეის ქარვასლის დაწვის შემდეგ, იმ წაშლენ დაუნიშნავთ კამისია, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა — თუ სად და როგორ უნდა აშენებულიყო თეატრის შენობა. ჩვენ შევიტყეთ ახლა, რომ ამ კამისიას, რომლის თავს-მჯდომარედ თ. მირსკი ყოფილა, გადაუწყვეტია, რომ თეატრი ისევე იმ ალაგას, ე. ი. თამამშვეის შენობაში.

ბაში უნდა გაიმართოსო. ამბობენ, ამ საქმის საქაროთ გათავებას ამჟამად მხოლოდ ის აბრკოლებს, რომ უფ. თამამშვეისა და ქალაქის გამგეობას შუა რაღაც უთანხმოება ჩამოვარდნილა: თამამშვეის არ ჰურს თეატრი, რომ თეატრი გამართოს თავის შენობაში, (როგორც ისმის, ბირჟის გამართვა განუზრახავს ამის მაგიერად), საზღვეველი საზოგადოებისაგან მიღებულ 60,000 მანეთს აძლევს ქალაქს, ოღონდ სხვაგან სადმე ააშენეთ თეატრიო. მაგრამ, კონტრაქტის ძალით, თამამშვეი ვალდებულია იქვე გამართოს თეატრი. აქ რომ ერთი წლის ანუ წლისა და ნახევრის განმავლობაში ჩვენი თეატრის მოყვარეები ისევე დიდი თეატრის ხილვას ეღიროებიან...

თუმათა ამ ჟამად არც რუ'ული თეატრია ქალაქში და არც იტალიური ტრუპაა, მაგრამ ქალაქი მაინცა და მაინც 6,000 მანეთს იხდის თურმე თეატრისათვის. მკითხველმა იცის, რომ ეს 6,000 მანეთი თ. შორღანოვის მთავარ-მმართველობის დროს ქართული თეატრის სასარგებლოდ იყო დანიშნული. შემდეგ კი რუსულ ტრუპას აძლევდნენ. მაგრამ, რადგან ახლა არცერთი ტრუპა არ არის, ამის გამო ამბობენ, ქალაქის გამგეობა ცდილობსო, რომ ამ გადასახადისაგან გაათავისუფლოს ქალაქი მთავრობამაო.

იმ გარემოების გამო, რომ ამ უკანასკნელ დღეებში დიდი წვიმები ყოფილა, რომელსაც ბევრგან გზევი

ფელტონი

საქაფილო ზღაპრები

„ოქროს წყაროს“ ზღაპარი

ზამთრის გძელ ღამეების შესამოკლებლად, გადია ჩემი ზღაპრებს მეუბნებოდა ხოლმე; ზოგი მათგანი დღესაც გულის ფაცარზედ მაწერია...

მასხვს, ერთს მკაცრ ზამთარში, როდესაც შავი-უყუნისაზარლად სარკმლებში იხედებოდა და ქარიშხალიც გარეთ ისე გულ-საკლავად ზუოდა, რომ, თვითქოს, სიცვიისაგან ატანილი, თბილ ოთახში შემოშვევას იხვეწებოდა, გამხიარულებულ ბუხრის წინ, შელის ტყავზედ რბილად და თბილად ეიჯექ და სულ განაბული ყურს უგდებდი გადიას: იმ დროს ის ანბობდა „ოქროს წყაროს“ ზღაპარს.

საზოგადოდ ჩვენს ზღაპრებში მზეთუნახავები ისე არ გამოდიან თავის

ცხრა-კლიტულიდამ და არ ნებდებიან საქმროებს, თუ არ ჭიდაობითა და გამოცანეებით: სასიძო მიდის მზეთუნახავთან იმ პირობით, რომ დაეჭოდეს და დასცეს და ან გამოცანა ახსნას; თუ აჯობა ან ერთში, ან მეორეში, ხომ კარგი: ცოლათ წაყვანს; და თუ ეერა, მაშინ თავს მოსჭრიან და სარზედ ჩამოაცემენ. ამ გვარად მთელი მესერი სასიძოების თავებით არის შემოყოლებული!!

ეს იმას ნიშნავს, რომ ძველ დროში ხელ-ძალუმობასა ჰქონდა ფასი და კაცი ისე ვერ აისრულებდა თავის სურვილს, თუ არ ბრძოლითა და შეჭიდებით; ან უნდა მომკვდარიყო და ან უნდა ჩაეგდო ხელში მისი საძებარი საგანი, მისი მზეთუნახავი.

„ზამოცანები“ ნიშნავენ, რომ ჭკუასა და ხერხსაც ჰქონია ფასი იმ დროს, მაგრამ ისიც კი სხვა ხასიათისა ჰყოფილა მაშინ: იმასაც, უთუოდ, სისხლის პარობაები სდებოდა.

ჩვენი „ოქროს წყაროს“ მზეთუნახავი კი არ ეკუთვნოდა საზოგადო მზეთუნახავების დასს! ის იყო სამხრეთის ანუ სომხეთის მეფის ქალი და წინააღმდეგ მზეთუნახავების ჩვეულებისა, გამოაცხადა, რომ ჩემთვის სისხლს ნურავინ დაჰღვრისო! მე მხოლოდ იმას შევიერთავ, ვინც მომეწონებაო და მომეწონება მხოლოდ ის, ვისაც ოქროს-ხუტუქიანი თმა ექნებაო!

ტბილ-გუნებისაგან სისხლ-აღლეული ახალგაზდა სასიძოები შეუდგნენ ოქროს ხუტუქიანი თმის მოპოებას.

ხმა იყო, რომ აღმოსავლეთისაკენ, უგზო უკვლო ქვეყანაში, ერთს უდაბურში, ერთის კლდის ძირში გამოჩხუხუხობს „ოქროს წყაროს“ და ვინც იმ წყაროს წყლით თავს დაიბანს, ოქროს თმა გამოეხსნისო!

ატუდეს კამარა, დაადგენ აღმოსავლეთის გზას სასიძოები.

მრთხელ ერთი მათგანი ხანგრძლივს მგზავრობისაგან დამაშურალი, დაადგა აღმოსავლეთის გზას და დაფქრებული მილოდავდა ნელ-ნელა. უცბათ მის წინ მალლიდამ კვირისტეა დაეცა; აიხედა მალლა და დაინახა, რომ გზის პირად მალალ კლდეზე ერთი დედაბერი იჯდა და თითისტრით ძ-ფს ართავდა.

— დედაშვილობას, ეგ კვირისტავი მომაწოდებო! მიამახა მოხუცმა.

მგზავრმა აუტანა კვირისტავი და გამარჯობაც უთხრა.

— ბებია, მათუსალა ხომ არა ხარო? ჰკითხა ემაწვილმა.

— არა, შეილო, მათუსალაზე უფრო ხნიერიცა ვარ, მაგრამ სახელი კი არა მაქვს მისთანაო! დედაშვილობამ, კაცის რ.მე სახელი შემთხვევად არის დამოკიდებული: ზოგისას ცოტას დაიხსომებენ და ზოგისას კი ბევრსაც დაივიწყებენ. ძი შეილო.. მაგრამა ეგრე რას დაუ-

გაუფუჭებია, რკინის გზის მატარებელი ძალიან არეულ-დარეულად დაიარება. ზოგ სხვა უწყვეტობასაც იწვევებინან ამ ჩვენს შოთი-თფილისის რკინის გზაზე. მაგრამ იმედი აქვთ, რომ მალე როგორც მატარებლის წასვლა-წამოსვლით, აგრეთვე სხვა მხრითაც ეს გზა თავის დონეზე დადგება...

□ აქაურ „რუსულ გაზეთში“ თფილისის მოამბეში იწერებინან, რომ ერთს აქაურს მღვდელს ამას წინათ პიევის უნივერსიტეტში მედიცინის ფოკულტეტზე ექიმობის სწავლის სურვილი გამოუცხადებია. მაგრამ სასულიერო მთავრობა წინააღმდეგი იყო, რომ სამღვდლო პირს ექიმობა ესწავლა უნივერსიტეტში. ახლა იწერებინან, რომ, ძველსავე ერთი ებისკოსოს შუამდგომლობით, ამ მღვდელს სინოდმა აღნიშნულ უნივერსიტეტში ლექციების სწავლის უფლება მიანიჭაო, მაგრამ იმ პირობით, რომ სხვა და სხვა საგნების შესწავლის დროს პირუტყვების სისხლი არ დაეკციოსო, რადგან ამ გვარი მოქმედება სასულიერო წოდების ხარისხს არ შეეფერებაო...

ძაღვების „თარგმანის“ გამოცემის სთხოვეს იმ პირთა, რომელთაც ამ ორი წლის წინათ ეს წიგნები ჰქონდათ ჩვენს ქალაქებში თუ უფლებში გაგზავნილი გასასყიდლად, გაყიდული ეგზემპლარების ფული გამოგზავნონ. რადგან მეორე წიგნის გამოცემას ემზადებინან.

„ღროების“ რედაქცია სთხოვს იმ პირთა, რომელთაც გაგზავნილი ჰქონდათ გასასყიდლად „ღროების“ ძაღვნი და რი,“ გაყიდვისაგან შემოსული ფული მალე გამოგზავნონ ან თვითონ რედაქციაში.

უფ. ტატალას კორრესპონდენციის მეორე ნახევარი მხაროთ რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო არ იბეჭდება. რედ.

რუსეთი

✱ რუსის ოფიციალურს გაზეთში („მმართველობის მოამბეში“) გამოცხადებულია, რომ მართა ამწლის

დონებისარ? შინ სიკაბუკე და ვინ ქუჩენა?.. მაგ ხანში მხოლოდ სიხარული შეგ შეენის!..

— ბებია, ქვეყნის ამაოება მაკვირებს... შეიქრობ და ვერ მიხვდარვარ, რა ვართ ჩვენ ამ ქვეყნად და ან რა არის თვითონ ეს ჩვენი ქვეყნაც!

— აი, შეილო, რა არის! ლატრიალა თითისტარი: ქვეყანა ეს არის, ასე ტრიალობს ჰა... აღნიშნობა ბამბის ქულაა. და მისი ცხოვრება ეს ნართავი, ძაფი: თუ დროზედ არ მიეშველე და დართული ძაფი მაგრათ თითისტარზედ არ დაახვიე, მეტის ტრიალით ძაფი დაიხვეწება და ან ისევე უკულმა დაიკარება!.. საქმე დროზედ მოსწობება!!

ამ დროს ძაფი გასწყდა და თითისტარი ძირს დაეცა; აილო დედაბერმა, ძაფი ძაფს მიასკენა და განაგრძო ისევე რთვა.

— აი, შეილო, ხომ დაინახე, როგორ გამოვსკენი გაწყვეტილი ძაფი?

მაისის განმავლობაში რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში 2,234 ჯერ გაჩენილა ცეცხლი, რომელსაც თითქმის ხუთი მილიონი ზიანი მოუტანია მცხოვრებლებისათვის. ამაში არ არის მოხსენებული ახლად გადამწვარი ქალაქი მარშინსკი, რომლის მცხოვრებლებმაც ერთ მილიონ ნახევარი მანეთი იზარალეს.

✱ აპობენ, რომ რუსეთის უნივერსიტეტებში ისტორიკო-ფილოლოგიური ფოკულტეტები დაიხურებაო; მის მაგიერად მოსკოვში აპობენ ცალკე ისეთი ფილოლოგიური ინსტიტუტის გახსნას, როგორც ამჟამად პეტერბურღში არის.

✱ რუსეთის რამდენსამე გუბერნიაში ამ დღეებში ძლიერ დიდი სეტყვა ყოფილა და ბევრი ყანები გაუფუჭებია. მანსაკუთრებით შაზანისა და ხარკოვის გუბერნიაში, როგორც გაზეთებში სწერენ, დიდი ზარალი მიუცია სოფლის მეურნეობისათვის.

✱ ბაზეთებში იწერებინან, რომ ახალი განკარგულება უნდა გამოვიდესო, რომლის ძალითაც არაეის არ ექნება ბანკირის კანტორის გახსნის უფლება. სანამ ხაზინაში განსაზღვრულს ბეის არ შეიტანს და ამას გარდა ორს საიმედო კაცს არ წარადგენს თავდებათ, რომ კეთილსინდისიანათ წაიყვანს საქმეებს და მუშტრებს არ აზარალებს. ამ განკარგულების გამოცემის მიზეზი, როგორც ამბობენ, ის არის, რომ ხშირად მატყუარა კაცები ხსნიან ბანკიტებს ფულს სტყობენ და მერე ან სამზღვარ გარეთ იპარებინან და აცხადებენ გავეკატრდითო.

✱ რამდენსამე უბრალო ვაჭარს ამხანაგობა შეუდგენია პეტერბურღში, თითოს ათ-ათი თუმანი გამოუღიათ, თავის საყასპო გაუხსნიათ და პეტერბურღის ახლო-მახლო სოფლებში დაატარებენ თურმე ხორცს და ჰყიდიან. მოგებას თანასწორათ, იყოფენ.

ძვირათ მოხერხდება ისე მთელი თითისტრის დართვა, რომ ერთხელ მაინც არ გასწყდეს ძაფი!.. იცოდე, რომ ჩვენს მოკლე ხნის სიცოცხლეშიაც ასე სწყდება ხოლმე სიხარულის ძაფი!.. შამისობა არ ხერხდება, მაგრამ ნეტავი იმას, ეისაც უფრო ნაკლე ნასკვი ექნება!.. მაგრამ, ეჭვადანებოთ თავი ამავებს!.. საით მიეშურები?

— აღმოსავლეთისაკენ, „ოქროს წყაროს“ საპოვნად; და გზაც ხომ ეს არის ჯერ-ჯერობით.

— დიხხ, პირდაპირია... მაგრამ... ჰმ..

— მაგრამ რაო?

— ჰმ! ჰმ!.. მაგრამ... რა ექნა, შეილო, მართალს გეტყვი და არ მიწყინო: ამეღელი ბევრი მიწახავს და ჩამომეღელი კი აღარა.

— როგორ! შეკლანი დაიღუპნენ? აღარავინ დაბრუნებულა?

— როგორ არა; მაგრამ ის დეიწებოდათ, რისთვისაც მოდიოდნენ!

უსპო ქვეყნები

საზრანგითი. ლუი-ბლანისა და მადიე დე-მონკოს სიტყვას დიდი აღშფოთება მოუხდენია ნაცონალურს პრებაში. პირველი პასუხი ბპუჭჭყეს (სამინისტროს ვიცე-პრეზიდენტს) უთქვამს. წინათვე მომზადებული ჰქონდა თურმე ამას თავის სიტყვა, და ისეთ ნაირად უნდა ელაპარაკნა, რომ მარცხენა მხარე (რესპუბლიკლები) გაეჯავრებინა, პარ-და-პირი ოპი გამოეცხადნა იმისთვის, და ამით მარჯვენა მხრის ყველა დებუტატები მმართველობისაკენ მიემხრო.

მაგრამ ანგარიშში მოსტყუედა: იმის შემდეგ მარჯვენა მხრის დებუტატი ლპუ-ტამპლი ავიდა კათედრაზე და ბევრი მკაცრი სიტყვები სთქვა ახლანდელ მმართველობაზე და იმის წარმომადგენელ მკ-მაჰონზე. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ პრების თავს-მჯდომარე მდფტრე-პაკიე იძულებული იყო გაცხარებული ორატორი დაეჩუქებინა. ბამბეტრას პარტიამ კი იპოდენი ზომიერება გამოიჩინა, რომ წაიყრუა ბპუჭჭყეს სიტყვები.

საბმრძნითი. ძალიან ცუდ ამბებს იწერებინან ათინიდან ახლანდელს საბერძნეთის კოროლის მდგომარეობაზე. საზოგადო საქმეებ სრულებით არეულ-დარეულია თურმე, „ძალი პატრონს ვერ იცნობსო,“ რომ იტყვიან ჩვენში, სწორეთ ისეთი მდგომარეობა ახლა საბერძნეთში. ხალხის უქმყოფილება კოროლზე იქამდე მიღწეულა, ქუჩაზე რომ გამოდის, თავსაც აღარ უკრავენ და კარის კაცებს ხომ ხალხში სრულებით აღარაფერი პატავი აღარ აქვთ. ძოროლსა და იმის დახლოებულ პირებს შეუფერებელად აგრძნობინებენ თურმე, რომ დასანახად გვეჯავრებათო. აპობენ, ძოროლს ყველა თავის ქონება და ძვირფასი რაც ნივთები გაჩნია, ჩალაგებული აქვს და ორი რუსის ხომალდი ზღვაში

„ოქროს წყაროსათვის“ თავი დაენებებინათ და ოქრო-ქსოვილს გამოდგომოდნენ, მუცელაობას შესდგომოდნენ. ში თუ შენც ისე მოგივიდეს, და მებრალბები, შეილო!!

— როგორ?! მერე და რამ უნდა დამაიწყოს ეს ჩემი ჰაზრი?

— სისუსტემ!.. ძაქის გული უნდა ჰქონდეს კაცს, რომ არ გაუტყდეს უბედურობაში!! შენ კი გაგაფრთხილებ, შეილო, თუ დამიჯერებ: ეგ გზა მძიმე აგირჩევია, შეილო; მაგრამ მამაცობა გმართებს: ნუ მოერიდები ავდარს, საფრხეს ნუ გაექციე, ქარს ნუ შეუშინდები, ჰკაფე ეკლიანი გზა, ზედ ოფლი და სისხლი აწურე... აქეთ-იქით განხედ ყურებას ნუ დაიწყებ, თორემ მარჯენიე ოქროს წალკოტს დაინახე მშენიერის ხეხილით, სული წაგძლევს და თუ იქ შეგიტყუეს, გათავდა შენი დღევანდელი სურვილი!.. მარცხნივ ერთი მარმარილოს კოშკი სდგას;

მზათ არი, თუ ენიცობა რამე არეულობა მოხდა... მარცხნივ... მარცხნივ... მარცხნივ...

ოსმალეთი. ოფიციალურად გამოცხადებული ოსმალის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლიდამ (ბიუჯეტიდამ) სჩანს, რომ მომავალ წელს ხაზინას 35 მილიონი მომეტებული გასავალი ექნება, ვიდრემ შემოსავალი. ამის გამო ხმა გაეარდა, რომ ოსმლო სახელმწიფო ვალის სარგებლის გადახდას სრულად და უნაკლულოთ არ აპარებსო. ამ ხმამ დაფთხო მეროპიელი კაპიტალისტები და განსაკუთრებით ინგლისის ბანკირები, რომელთაც ძალიან ბევრი ფული აქვთ ოსმალის ხაზინაზე გასესხებული. მაგრამ ოსმალის ოფიციალურს გაზეთში გამოცხადებულია ახლა, რომ მმართველობას თავის დღეში არ უფიქრია სახელმწიფო ვალის სარგებლის დაკლება. — რაც შეეხება ბიუჯეტის დეფაიციტს, ეს ახალი გადასინადით უნდა შეიგოსო.

ქრონიკა

სამართავლოს მდგომარეობა 506 წლიდგან ვიდრე აღმასანდრე მამადონელის მოსვლამდე.

506 წელს შრისტეს დაბადების წინ ბაბილოვანის მეფე ნაბუქოდონოსორი მიადგა იერუსალიმს, ალილო და გაანდგურა ეს საღმთო ქალაქი ძირითადმდე, დაიჭირა იუდიანელების მყყე სედეკია, დასთხარა თვალები. მას თვალის წინ დაუხოცა შეილები და თვითონ ის და დანარჩენი იუდიანელებით ტყვედ წაიყვანა ბაბილოვანში.

შრისტეს დაბადების შემდეგ აღმოსავლეთის ქრისტიაანების პატრიარხების ისტორია გამოსცეს და ამაში სხვათა შორის, მე-12 წიგნში, არის მოხსენებული, როგორც ამბობს თეიმურაზ ბატონიშვილი, რომ ნაბუქოდონოსორმა მეროპიდგან ი-

იქიდან ერთი მზეთუნახავი იმზირება; თავსფარს დაგიქნევს, თვალს წაგიხდენს, მხარს მოგიქცევს, შეგიტყუებს და დაგაიწყებს შენს აღთქმებს!.. როგორც ამ კოშკში, ისე იმ წალკოტშიდაც გაგამუცლებენ.

ბამოეთხოვა დედაბერს, დაჩემებული ქაბუკი; გულ-მაგრად დაადგა გზას, არ მიიხედა მარჯენიე. მოშორდა ოქროს წალკოტს. მაგრამ ბოლოს, როდესაც დაიქანცა მძიმის მგზავრობით, უნებურად მიიხედა მარცხნივ, მოავლო თვალი მზეთუნახავს. შალატა გულმა და შკყო თავი მარმარილოს კოშკში!..

ასე, ამ გვარად ახალ-გაზდა სასიძოები ზოგნი მარჯენიე ოქროს ბალში შედიოდნენ და ზოგნი კოშკში; ავიწყდებოდათ „ოქროს წყარო“; და ჩვენი ნაცნობი დედაბერი კი სულ იქვე იჯდა გზის პირათ და აეღილს ხედავდა და ჩამოვილილს კი ველარა!.. შინც რომ კი დაუკვირდები ამ



პანიის ხალხი აპყარა და გადმოასახლა საქართველოში, საქართველოს ხალხი კი გადასახლა ისპანიაში. ეს ისტორიული შემთხვევა აქ იმით არის დამტკიცებული, რომ თვითოვეულსა ისპანიელსა და ქართველსა აქვს ცერის თითზე მოდიდო ბეჭედი შემოცმული და ზედ არის დაწერილი პატრონის სახელი. ამ ცერის ბეჭდით ისინი აღბეჭდებულნი წერილებს, ბარათებს, თამაშუკებს და სხვა-და-სხვა საქირა წერილებს. ეს ჩვეულება აქონიათ უწინდელ დროში როგორც ქართველებს, აგრეთვე ისპანიელებსაც და ამით ამტკიცებენ, რომ ქართველები და ისპანიელები ერთი მეორის სამშობლოში არიან გადასახლებულნი ბაბილონის მეფეს ნაბუქოდონოსორისაგან.

მაგრამ საქართველოს მატინების მწერალნი ამას არ ეთანხმებიან და ხსნიან ამ ისტორიულ შემთხვევას სხვაფერად. მეფე მანტანგი და ამისი შვილი მახუშტი, ქართლის ცხოვრებაში მაგალითებრ ასრე ამბობენ: „ოდეს ნაბუქოდონოსორ მეფე ბაბილონი-სა წარვიდა და წარმოსტყვენა იერუსალიმი და მუნით ოტებულნი უჩიან მოვიდეს ქართლს, მოითხოვეს ნება მცხეთელ მამასახლისისაგან, რათამცა დევსახლნეს ივერისა შინა: მისცა მცხეთელ მამასახლისმან ნებითა სრულიად ივერის საზოგადოებისათა ადგილნი მთავართ ხარკითა, რათამცა მოსცემდნ იგინი წლითი-წლად ერისა საზოგადოებასა ხარკსა ადგილისათვის; ხოლო უჩიათა მათ მიიღეს წინა-დადება ესე სიხარულით და აღუთქეს ხარკი. მაშინ მოიყენნა და დასახლნნა მახლობელ პრაგვის მდინარისა წყაროსა თანა და აწ უწოდებენ ადგილსა მას ხერკი. ეს ქართლის ცხოვრების“ ჰაზრი უფრო ნამდვილია, ვიდრე ბერძნების თქმულება, მით უფრო უმეტეს, რომ ამავე სახით ხსნიან ურიები თავის საქართველოში მოსვლას და დასახლებას.

აი ამ ურიების საქართველოში დასახლების დღიდან 70 წელიწადი

რომ გავიდა, სპარსეთში გამოჩნდა ერთი დიდებული კაცის შვილი სახელად ძიროსა.

ამ კაცის დროს სპარსელები ძლიერ შეწუხებულნი იყვნენ მიდიელების მძლავრობისაგან. აპისათის ძიროსმა მოინდომა იმის განთავისუფლება იმათი უღლიდგან. მრთხელ იმან შეჰყარა სპარსელები და უბრძანა გადაეკათა დიდი ტყე და გამოეხადათ ახრ. აპის მეორე დღეს ერთს მშვენიერს კორდზე იმან მოამზადებინა სადილი, გააშლივინა სუფრა სხვა-და-სხვა სანუკარი საქმე-ლებითა. როცა სპარსელებმა ჰამეს სადილი და კარგად დალიეს ღვინო, ძიროსმა ჰკითხა: „აბა, ძემო, მითხარით ახლა, რომელი დღე უფრო მოგწონთ: გუშინდელი თუ დღევანდელი?“ — „მასაოცარი კითხვაა“, უპასუხეს ყველამ გაკვირებით: „გუშინ ყველანი მონებად ვიყავით, დღეს ბატონები ვართ!“ — „ზინდათ, რომ მუდამ ამისთანა ბატონები იყენით?“ ჰკითხა კვლავ იმათ ძიროსმა. — „რასაკვირველია რომ გვინდაო?“ ერთ ხმად წამოიძახა ხალხმა: — „მაშ რაღა გებრკობთ, უთხრა ძიროსმა, განაგდეთ მძიმე უღელი მიდიელები და მაშინ აღარ იქნებით უკვე მონებით! მომყევით და მე მიგწვეთ ძლივსა და დიდებასა!“

სპარსელებს ძლიერ გაუხარდათ და ერთობით გამოაცხადეს მიდიელების უღლისაგან განთავისუფლების სურვილი. აპიონი მოჰხდა. სპარსელებში შეიყარა ჯარი, დაიყენა ძიროსი მეფედ და გამოაცხადა თავისუფლება.

მიდიის მეფემ ასტილმა ეს რომ შეიტყო, მაშინვე შეჰყარა დიდი ჯარი და გამოვიდა საომრად. მძიმე ატყდა, მაგრამ მამაცმა ძიროსმა ის დაამარცხა და თვითონ ასტილიც დაატყვევა. ეს მოჰხდა 558 წელს ძრ. დაბად. წინ.

მთმცა სპარსეთი მამულის მოყვარე ძიროსმა სრულიად განთავისუფ-

ზღაპარს, უეჭველია, შიგ ჩვენ ახლ-გაზდობას დაინახავს, რომელიც შუაგზაზედვე უხვევს და იგაწყებს თავის ალტკმებს: „იქ“ ბერის ვიცობდით თავ-განწირულ პატრიოტებს, მაგრამ აქ კი დღეს მათი პატრიოტობა კუქის-პატრიოტობით გადაქცივით, რადგანაც მაშინ იგონებენ სამშობლოს, როდესაც მწუვადებსა სტუმენ და კახურსა სმენ.

მიცნობდით იქ ლიბერალებს, რომელიც დღეს აქ სხვა ალტკმისანი არიან: ის ძველი გრძობა და ჰაზრები მოუკლავთ და ლიბერალების „ჰაზრი-კალები“ გამხდარან!!

მიღას ახსოვს „ოქროს წყარო“ და ცხრა-კლიტულიდამ გამოსაყვანი მზე-თუნახავი!...

აი, რა სურათს წარმოგიდგენს დღეს ჩვენი ცხოვრება:

ზვის პირათ ერთი დიდი ტალახის მოედანია, შიგ ხალხი ჩაკეცილია. ზოგი სიამოვნებითა ჰგორავს იმ ტალახში და ზოგნი კი, თუ თვითონ ასხლეტიათ როგორმე ფეხი და ჩაცვნილან, სკდილობენ ტალახიდან გამოსვლას, ფართხლობენ, ხან მარჯვნივ მოდიან, ხან მარცხნივ და უფრო და უფრო კი იფლობიან ტა-

ლახში. იხვეწებიან და მშველელი კი არსადა სჩანს. აი, გამოიარა ერთმა მშვენიერათ და წმინდათ ჩაცმულმა კაცმა; დაინახა, მაგრამ არ მიეშველა!

— რათ მიეშველო, ანბობს, ხომ უნდა ჩავიდე მეც იმ ტალახში და ფეხები გავისვაროო?... ჯანი გავარდესთ, დაღუპონ, ჩემი ბრალი ხომ არ არისო?

ამ სიტყვებით ჩაუარა გვერდი და მივიდა ერთს სახლში, მეჯლიში და აქ სიამოვნებით მიიღეს, როგორც წმინდა და პატრიოსანი კაცი!..

მართალია, მის სინიღისზედ ერთი ნიშანი კი ჩარკათ მოედო, მაგრამ იმის დანახვას ხომ გონებითი თვალის უნდა და ეინ ხმარობს იმს ამ დროში, ჩვენში? ბარგანობით ყველას მოეწონა ის წმინდა ახალგაზდა და დაუკრეს ქების ტაში!

მამოიარა მეორემ, დაინახა ტალახში მგორავები შეეცოდა და მოინდომა მათი შევლა; მაგრამ ჩასვლა და ფეხების გასვრა ვერ გაბედა. ხალხი გამკიცხავსო, შიშობდა. ღიწყო მოთქმა და ტირილი ტალახში ჩაცვიფრულების უბედურებაზედ, მაგრამ მოშორდა მათ და თვალ-ცრემ-

ულა მიდიელების შორხილებისაგან, მაგრამ მაინც და მაინც ძალიან შიშობდა. „ამისთვის“, ამბობს მიემურაზ ბატონიშვილი თავის ისტორიის 107 კაბადონზე, ივერიელთა თანა შეერთება ძიროსისთვის დიად საჭირო იყო. ივერიელთა და მიდიელთა შორის იყო აღრიდებულ განხეთქილება და ბრძოლა ურთიერთისა ხშირად, ამისთვის დიად სათნო იყო იგი ივერიელთა, ანიჰა მრავალი ოქრო და ვერცხლი და ნივთნი პატრიოსანი და განიგულედა თუ სადამე მიდიელნი განიზრახვიდნ რასამე წინააღმდეგსა ადგილად შემძლებელ იქმნების მორგებისა; ვინაიდან ერთ კერძო სპარსები, მეორითა კერძოდ ივერიელნი შეიწროებენ მათ, და ამა მიზეზისა გამო მიდიელნი ვერღარა იკადრებენ ამბობსა და ამით საქმესა ამს შინა ისარგებლეს ფრიად ძიროსმანცა და ივერიელთაცა.

მემატიანები თუმცა დაწერილებით არ აგვისნიან ქართველებისა და სპარსელების ურთიერთს შორ ზავს მიდიელების წინააღმდეგ; მაგრამ ნამდვილია, რომ ძიროსს ძლიერ უყვარდა ქართველები, იმას ჰყვანდა ეჯობდა ქართველი კაცი. ეს ქართველი იყო სანიგლოს სოფლის ძაკიდგან. ძიროსსა და ამას ძალიან უყვარდათ ერთმანერთი, ამისათვის პირველი რომ მოჰკლა სკვითების დელოფალმა მომირისამ, ამ ძაკელმა ქართველმა დიდის მწუხარებით და გლოვით დააწერა ძიროსის სამარზე ეპიტაფია, — რომელიც ამბობს, რომ ძიროსი სკვითეთში მოიკლაო. ეს სამარის ზედწარწერა პერსეპოლის ნანგრევებში აღმოაჩინა ღერმანიელმა მსწავლელმა ლასენმა და იქ არის თურმე ნახსენები, რომ „ძახლუ ბურჯიმ“ — დაწერაო. (იხილეთ თხზულება: o Гуннахъ Дагестана — Кап. Ягуби-бека Лазарева).

მაგრამ ქართველებისა და სპარსელების ამ დროს ერთობით მოქმედება მით უფრო უმეტეს მართალია, რომ 558 წლის შემდეგ საქართვე-

ლოს სპარსეთზე დამოკიდებულება აქვს. ისტორიკოსი ლეოლოტი რომელიც სცხოვრებდა სპარსელებისა და ბერძნების ომის დროს მე-V საუკუნეში და რომელმაც ეს ომები აღწერა, ამბობს, რომ საქართველო სპარსეთის სამეფოს ნაწილს შეადგენდა, და ღარიოზ მეფისა და იმის შვილის ლაშქარში ერთნენ ქართველებიცაო. მაგრამ როდის დაიპყრეს სპარსელებმა საქართველო — ამაზე არაფერი არ არის ნათქვამი.

აპისათის მე ვფიქრობ, რომ ქართველებსა და სპარსელებს შორის ერთობა და მეგობრობა დაიწყო იმის შემდეგ, როცა 606 წელს მიდიის მეფემ ასაკარმა სკვითები და მათთან ერთობ მოქმედი ქართველები ჯერ დაათრო და ამოჰკლიტა, მერმე საქართველოს დაპყრობა მოინდომა. მაგრამ სპარსეთის თავადი პირსიდა, რომელიც ნათესავი იყო საქართველოს ერთი მამასახლისისა, გადმოვიდა, როგორც ესთქვით მე-10 სურათში, ოთხი ათასის სპარსელი კაცით, შეუერთდა ქართველებს, მიიღო ქართველი ჯარების სპასეტობა და დაამარცხა მიდიელები.

ამ სახით სჩანს, რომ 558 წლიდან ძრის წინ დაწყებული ვიდრე ალექსანდრე მაკედონელისაგან სპარსეთის დაპყრობამდე 331 წლამდე, ქართველებსა და სპარსელებს ერთობა ჰქონიათ.

ინგილო ჯანაშვილი

უმოკრძალოდ ვსთხოვთ იმ ჩვენს ხელის-მოშვილებს, რომელთაც უარზანდელი ანუ წლავანდელი გაზეთის ფული ჯერ არ შემოუბრუნიათ, რაც შემოქმედა მალე შემოიბრუნონ.

სამართალი

6. ნოლაყაშვილის საქმე პალატაში

აქაურს სამოსამართლო პალატაში ამთვის 17 მოისმინეს თ. ნიკო-

გვეჩვენება, თორემ წმინდა ფეხი აქვსო და სხვა...

აი სწორეთ ამ სურათს წარმოგიდგენს ახლანდელი ჩვენი ცხოვრება.

დაირღვა ბაბილონის გოდოლი და აირია ენები, ზნეობა!

აპისთანა დროში კერძო მუშაობით, თუ არ შეერთებულის მოქმედებით, არა გაკეთდება რა!

მაგრამ ეს არ ხერხდება! და რატომ? მიტომ რომ, ვისაც ვარსკვლავთ-მრიცხველი ჰგონია თავის თავი, ის ყველას და ყოველთვის მადლიდამ უყურებს და არ კადრულობს გვერდით ამოდგომას!..

მისაც ქიმიისათვის უსუსუნებია, იმას დიდათ მოაქვს თავი და აღარას კადრულობს.

მისაც ისტორია გაუგონია, ისიც იბერება!

მართი სიტყვით, ვისაც კი ერთი რამ წიგნი წაუკითხავს, თავი ყველაზედ უბრძენისი ჰგონია და აღარას კადრულობს, თუმცა ამავების ყველას ცოდნა და სიბრძნე კი ერთს „ნოლაში“ დაეტყვა!..

აკაი

ლორს ჩოლაყაშვილის საქმე, რომელიც აპელაციით იყო იქ გადატანილი. სხდომის თავს-მჯდომარედ უფ. სენატორი მგოლინიყოფილა. პალატამ დაარღვია მღკის სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ბრალდებულებათა ში, რომ ვითომც თ. ნ. ჩოლაყაშვილის მძიმედ ეცემოს თავის ცოლი და ტანჯვა-წვალება მიეყენებინოს იმისთვის; და იცნო დამნაშავედ იმაში, რომ 1869 წელს, იანვარში, თავის ნებითა და ძალით მოუსპო ცოლს თავისუფლება და ამდროსვე წვალება და ტანჯვა მიაყენა იმას. ამ გადაწყვეტილებისა-დაგვარად, სასახელიც ცოტათი შეუმსუბუქა პალატამ დამნაშავესა.

ნარკვი

ტრისტში შინიონების წინააღმდეგ გაცხარებული ი.მი ატყდა. ამას წინათ ვიღაც ორი ახალგაზდა ქალი მოჰყვარა ამ ქალაქში და ხალხში ხმა გაეარდნილა, რომ შინიონების ბრალი არისო; შინიონები თავს უხურებს ქალს, ანთება ემართებათ და ავდებიანო. ამის გამო სადაც კი დაინახვენ თურმე ახალგაზდაში შინიონიან ქალს, ათასი ხმა ერთად მოაყვირებს: „შინიონი გადაგდე! არ უნდა შინიონი!“ რამდენიმე კაცი დივირა ატურმე პოლიციამ ამ უწყობების გამო; მაგრამ განსაკუთრებით ქუჩის ბიჭები ახლაც არ ახვენებენ შინიონიან ქალებს.

* *

მრთს რუსის ქალს 15,000 ათასი მანეთი უანდერძებია თავის ძმისთვის, რომელიც ექიმა, იმ პირობით რომ ამ ფულით პეტერბურგში ავთამყოფი ემაწვილებისათვის ცალკე საავთმყოფო სახლი გაჰართოს.

* *

პეტერბურგში თხუთმეტ ახალგაზდა ქალი მისულა ამ ჟამად მცირე-რუსეთიდან, რომელთაც ადგილობრივი სახალხო სიმღერები იცაოთ თურმე და პეტერბურგში, მოსკოვში და შემდეგ სხვა ქალაქებშიც კონცერტები უნდა გაჰართონ.

* *

განცხადება

ი ს ყ ი დ ე ბ ა

ქვეთი მგ ხელაძის და ამხ. გამოცემანი:
 „სურამის ციხე“ — 20 კ.
 „მეფხვის ტყაოსანი“ უფ. 50
 — — — — — ყლით — 70
 ლექსები და ანდაზები 5
 საყოველ-დღეო ლოც. 5
 სამიჯნორო ლექსები 5
 მთერიანი — — — 5
 მოძრავი ასოები — — 5
 აგრეთვე ისყიდება ახლად გამოსული „მგოსანი“ ლექსები, თქმული ღვით მიევილისაგან, ფასი 20 კ. და სხვა ქართული წიგნები.
 შეელა ეს წიგნები ისყიდებთან თფოლისში ქვეთი მგ ხელაძის სტამბაში და წიგნების მალაზიებში, სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

ავთამყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდან ვიდრე 1 საათამდე

მ. რ შ ა ბ ა თ ს: ექიმი მინკევიჩი — ხირურგის, პარყნიკი — ემაწვილების, ქალებისა და ვენერიული ავთამყოფებისათვის, მ. რ ა - ლევიჩი და ლისიცივი — შინაგანი ავთამყოფობისა.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: პარყნიკი — ემაწვი, ქალებისა და ვენერიული ავთამყოფობისათვის
 ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: პარყნიკი ემაწვი, ქალებისა და ვენერიული ავთამყოფობისა. მარკაროვი და ლისიცივი — შინაგანი ავთამყოფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: მინკევიჩი — ხირურგისა, პარყნიკი — ემაწვი, ქალებს და ვენერ. ავთამყოფი, ლისიცივი — შინაგანი ავთამყოფობისათვის.

შ ა ბ ა თ ს: მარკაროვი და ლისიცივი შინაგანი ავთამყოფობისათვის.

უფ. ახვლედიანის და ვარლამოვის სარკამო სარდაფში, ისყიდება შემდეგი ნაწარმოები:
 ძარაკი — გირეანქა — 50 კაპ.

ნალები — — — — 40 —
 სვეტანა — — — — 30 —
 შეელი — — — — 15 —
 ტეაროვი, ხაქო — — — 10 —
 რძე — — — — — 5 —
 მაწონი — — — — — 5 —
 სარდაფი იმყოფება მრეენის მადანზე, სეპინარიის პირ-და-პირ, მანდენოვის სახლებში.

მსურს ავიყვანო მოსამზადებელად გიმნაზიის პროგრამის შესაფერ საგნებიდან და ენებიდან, ისეთი ემაწვილები, რომელნიც ან ეაკაციების შემდეგ გიმნაზიაში შესვლას აპირებენ, ან გიმნაზიაში იმყოფებიან კიდევ და ან რომელთაც რომელიმე საგნიდან მიმავალი ეაკაციების (კანიკ.)

შემდეგ, ხელმეორეთ დასაქვრი ვგზამენია აქეთ გარდადებული უფრო დაწერილებით პირობებზე მოლაპარაკება პირის-პირ შეიძლება.
 აღრმისი იკითხეთ: ქუთაისს, უფ. ან. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ორი მასწავლებელი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა და ერთი სტუდენტი მიიღებენ შაბირდებს ამ კანიკულეებში სხვა და სხვა საგნებში მოსამზადებელად ვგზამენისათვის. აგრეთვე ამზადებენ ემაწვილებს შესასვლელად სხვა და სხვა სასწავლებლებში.
 პირობების შეტყობა შეუძლიანთ ზაქარია ჭეიშვილთან, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში.



ბარდანქეშან-პიარი.

გამკვიდრებანი გამოვიდა და ისყიდება

პირველი კარი შარაგანიანისა,

სპარსულიდან ნათარგმნი ქართულს ენაზედ სახლთხუცის და სარდლის თავადი დავით მრგალიანიანსაგან. საამოთ სასმენელი. ზოგიერთი სურათებით შარაგანიანისა, ბარდანქეშანისა და სხვ.

გამოცემული დავით ლაზარევისაგან და ნიკოლოზ კოგალაძისაგან.

ფასი „პირველი კარისა“ ექვსი შაური (30 კაპ.)
 განსყიდება გერ-გერობით ტფილისს მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში.

იგამკვიდრება და მომავალ თვეებში გამოვა „მეორე კარი შარაგანიანისა.“

რკ. გზა.	დილა.			სალამ.			II კ.			III კ.			ცეცხლის გეგმები	ფოფა	ბირჟა	მან. კაპ	მაზანდა	მან. კაპ				
	I	II	III	I	II	III	I	II	III	I	II	III										
თფილისი	8	18	8	17									ა) ფოთიდან:	ა) თფილისიდან:	პეტერბურგი, 22 ივნისს.		თფილი, 26 ივნისს					
მცხეთა	9	18	10		68	38							მდესისკენ — ორშაბ. დილის მსაათ.	სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს	ერთი მანეთი ლირს:		პური შორაგალის ფო.	1	10			
ბორი	11	39	1	43	2	40	1	23					სტამბოლს — კვირაობით დილას.	ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ.	ლონდონში 337 3/4 პენსი.	84	ჭერი ფუთი.		60			
სურამი	1	52	4	30	3	92	2	18					ბ) სოხუმიდან:	ოთხშ., მზურგეთს — პარასკ და	პარიჟში 347 1/4 სანტიმი.	89	ბამბა მრეენისა, ფუთი.		4	50		
ბეჟათუბანი	3	45			4	42	2	46					ფოთს — სამშაბათს, ღამით.	ო. შ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და	მსკონტი (სარგებლის ფასი)	6	— ამერიკისა, ფუთი.		6	40		
ქვირილი	6	49			5	81	3	23					მდესას — კვირას, გათფენებისას.	შ. ბ. ბახეთს — სამშ. და შაბ.	ბანკის ბილეთი 5%	99	8		8	—		
ქუთაისი	7	55			6	75	3	75					ფოთიდან:	ბ) ქუთაისიდან:	მოგებიანი (პირველისესხი)	212	8		8	—		
სამტრედია	9	2			7	73	4	29					I	თფილისისა და ფოთისაკენ — ყო-	მოგებიანი (მეორე სესხი)	207	25		6	50		
ახ.-სენაკი	10				8	57	4	76					II	ველ დღე, კვირას გარდა. მზურ-	მოგებიანი (მეორე სესხი)				3	60		
ფოთი	11				9	75	5	42					III	გეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდის	გარდა.	გარდა.				3	60	
														— ოთხშაბ.								
														გ) გორიდან.								
														პოველგან ყოველ დღე, კვირას								
														დ) ფოთიდან:								
														ყოველგან ყოველ დღე, კვი-								
														რას გარდა.								
														წიგნის გაგზავნა რუსეთში:								
														ლია წიგნის								
														დაბეჭდილის (სამი მისხალი) .								